

ORIENTAL CONCEPTS IN GEORGIAN FIGURATIVE SAYINGS

აღმოსავლური კონცეპტები ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმებში

Maia Kikvadze

Candidate of Philological Sciences

Professor, Batumi Shota Rustaveli State University

35 Ninoshvili St., Batumi 6010, Georgia

+995 577 72 82 48, maia.kikvadze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0002-5048-9011>

Abstract. Due to its historical location, Georgia has always had relations with neighboring states, with linguistic-cultural relations with Turkey being particularly noteworthy.

Georgian language contains numerous direct Turkish lexical items, as well as Persian-Arabic words that entered through Turkish.

The Georgian language is rich in figurative expressions, which clearly reflect the people's culture, traditions, life experience, relations with neighboring peoples, linguistic contacts and influences.

A large portion of Georgian figurative expressions were created with Oriental-Turkish-Persian-Arabic concepts. We examine expressions with concepts from precisely these languages in the presentation.

Some concepts belong to the most ancient borrowings. Some expressions or phraseology are universal, others have similar semantics or the concept has been modified.

We used Tedo Sakhokia's "Georgian Figurative Expressions" (1979) as empirical material.

In the work we have examined several examples, which we compare with the lexical materials from Shushana Putkaradze's "Our Way of Speaking Georgian" (1993).

aghas shno mogtses = they gave you favor, right, victory: **Agha** (Turkish-Persian. Ağā) - master, owner, tenant.

alali oplit lukmis chama = Alal to eat a bite with sweat; to live by honest work, irreproachable existence. **Alal** (Arab. Persian Helal) - legal).

davtarshi ar utseria = It is not written in the notebook = it is not a habit, it is not necessary. **Davtar-i** (Turkish defter) - notebook.

Dovlatze zis = He is sitting on a throne = he is well-off, rich, he lacks nothing. **Dovlat** (Arab. Dufat, Turk. Dovlat) - victory, domination, wealth, strength.

dunia, dunia khalkhi = Dunya, Dunya people = many, countless, invisible space or people; **Dunya** (rab. Gunya);

vai shens mters da dushmans = Woe to your enemy and your enemy = may it separate you well, may misfortune befall you. **Dushman** (Spar. guSman). In this expression, the Georgian-Persian concept is the enemy.

Sipta sheni = Your wealth = God's blessing, you have a good hand, you are generous. **Sifta** (Arab. Siftah) - initially, in the beginning.

In the report, we will analyze symbolic words according to thematic groups.

Keywords: culture, concept, figurative sayings, semantics.

მაია კიკვაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35, 6010, საქართველო,

+995 577 72 82 48, maia.kikvadze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0002-5048-9011>

აბსტრაქტი. თავისი ისტორიული მდებარეობის გამო საქართველოს ყოველთვის ჰქონდა ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ენობრივ-კულტურული ურთიერთობები თურქეთთან.

ქართულ ენაში მრავლადაა როგორც უშუალოდ თურქული ლექსიკა, ასევე თურქულის გზით შემოსული სპარსულ-არაბული სიტყვები.

ქართული ენა მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით, რომლებშიც მკაფიოდ ჩანს ხალხის კულტურა, ტრადიციები, ცხოვრებისეული გამოცდილება, ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, ენობრივი კონტაქტები და გავლენები.

ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმების დიდი ნაწილი შექმნილია აღმოსავლური-თურქულ-სპარსულ-არაბული კონცეპტებით. სწორედ ამ ენების კონცეპტებიან სიტყვა-თქმებს განვიხილავთ მოხსენებაში.

ზოგიერთი ცნება მიეკუთვნება უძველეს ნასესხობას. ზოგი გამონათქვამი ან ფრაზეოლოგია უნივერსალურია, სხვებს აქვთ მსგავსი სემანტიკა ან ცნება შეცვლილია.

ემპირიულ მასალად გამოვიყენეთ თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ (1979).

ნაშრომში განხილული გვაქვს რამდენიმე მაგალითი, რომელთაც ვუდარებთ სხვადასხვა სალექსიკონო მასალას.

აღას შნო მოგცეს= მოგცეს მიხვედრილობა, სიმარჯვე, გამარჯვება: **აღა** (თურქ.-სპარ. Ağa)- ბატონი, მეპატრონე, დამქირავებელი.

ალალი ოფლით ლუკმის ჭამა = პატიოსანი შრომით ცხოვრება, უმწიკვლო არსებობა. **ალალი** (არაბ. Helal) -კანონიერი.

დავთარში არ უწერია = არ აქვს ჩვეულება, საჭირო არ არის. **დავთარი** (თურქ. defter) - რეგული.

დოვლათზე ზის = კარგად არის, მდიდარია, არაფერი აკლია. **დოვლათი** (არაბ. Duflat, თურქ. Dovlat).

დუნია, დუნია ხალხი=ბევრი, უთვალავი, უხილავი სივრცე ან ხალხი; **დუნია** (არაბ. Gunya):

ვაი შენს მტერს და დუშმანს = კარგად გამყოფოს, უბედურება აგცდეს; **დუშმანი** (სპარ. duşman)-მტერი.

სიფთა შენი = -თავდაპირველად, დასაწყისში, პირველად. **სიფთა** (არაბ. Siftah). შდრ. **სიფთა**-თავდაპირველად, დასაწყისში: „სიფთა ხელზე იეფათ მომცა“ (ფუტკარაძე, 1993:567).

საკვანძო სიტყვები: კულტურა, კონცეპტი, ხატოვანი თქმები, სემანტიკა.

შესავალი. ნებისმიერი ენის სიმდიდრეს განაპირობებს ლექსიკა. ლექსიკის დიდ ნაწილს ქმნის ხატოვანი სიტყვა-თქმანი, რომელშიც აერთიანებენ ფრაზეოლოგიზმებს, იდიომებს, დალოცვისა და წყევლის ფორმულებს და სხვა.

ხატოვან სიტყვა-თქმათა შესწავლა და ანალიზი ყოველთვის მნიშვნელოვანია ენისა და კულტურის თვალსაზრისით.

ქართული მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით, რომლებშიც კარგად ჩანს ეთნოსის კულტურა, ტრადიციები, მათი ყოველდღიური თუ სულიერი ცხოვრებისეული გამოცდილება, მეზობელ ხალხებთან ურთიერთობა, ენათა კონტაქტები და გავლენები. ქართულ ხატოვან თქმათა დიდი ნაწილი შექმნილია აღმოსავლური – თურქულ-სპარსულ-არაბული კონცეპტებით.

საქართველოს ისტორიული მდებარეობის გამო ყოველთვის ჰქონდა ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, თურქეთთან. თურქეთის სხვადასხვა რეგიონში დღესაც მეტყველებენ ქართულ ენაზე. საუკუნეების წინ დაწყებული კეთილმეზობლური ურთიერთობა კიდევ უფრო ღრმავდება და ბევრ სიახლესაც ველოდებით კულტურული და მეცნიერული კვლევების თვალსაზრისით.

ქართულ ენაში მრავლადაა როგორც უშუალოდ თურქული ლექსიკა, ასევე თურქულის გზით შემოსული სპარსულ-არაბული სიტყვები.

თედო სახოკიას–ქართველ ეთნოგრაფს, ლექსიკოგრაფს, ფოლკლორისტს, მწერალს, მთარგმნელს, პუბლიცისტს, პედაგოგს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს–ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყველა კუთხე და კრებდა უნიკალურ მასალებს: ხატოვან თქმებს (ტ. I-III, 1950-1955), ანდაზებს (1967), ფრაზეოლოგიზმებს, დალოცვისა თუ შელოცვის ფორმულებს.

თედო სახოკია ასევე მოგზაურობდა თურქეთშიც, იქაურ ქართველთა მეხსიერებაში შემორჩენილ თქმებს საგულდაგულოდ იწერდა და შეჰქონდა თავის წიგნებსა თუ ლექსიკონში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „მოგზაურობანი“– გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი. ჩანაწერების ტიპის წიგნში ავტორს შეტანილი აქვს ის ეროვნული სიმდიდრე ქართველი ხალხისა, რომელსაც თავად ისმენდა. ავტორი მგზავრის შთაბეჭდილებათა გადმოცემის გზით ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ასახავს. იგი აღწერს ქართველი ხალხის ცხოვრების წესს, ზნე-ჩვეულებებს. თ. სახოკიას ჩანაწერები ხალხური სიტყვიერების უძვირფასესი ნიმუშებია, რომლებსაც იყენებენ ლინგვისტები, კულტუროლოგები, ეთნოლოგები, სოციოლინგვისტები.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ქართულ ხატოვან სიტყვათა-თქმათა შესწავლა-ანალიზი, მათი სემანტიკური ეკვივალენტების ძიება, კონცეპტუალური ველის განსაზღვრა.

კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, **ჩვენი მიზანია:** ქართული ენის მდიდარ სიტყვა-თქმათაგან საანალიზოდ წარმოვადგინოთ თედო სახოკიას მიერ ჩაწერილი ის სიტყვა-თქმები, რომლებიც აღმოსავლური კონცეპტებითაა შექმნილი; გვინდა შევუდაროთ ისინი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის, ასევე სხვადასხვა მკვლევრის მონაცემებს (შუშანა ფუტყარაძის მიერ 1989 წლიდან 1993 წლამდე თურქეთის ქართველთა მეტყველების ნიმუშებს, ეთერ მამულიას თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიზმების სალექსიკონო მასალებს-2006, ნანა ცეცხლაძის მიერ გაანალიზებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს-2018); გვინდა დავაკვირდეთ, რა განსხვავებაა დასახელებულ ავტორთა ხატოვან თქმებში; რამდენად აქტუალურია აღმოსავლური

კონცეპტები დღეს ქართულ სიტყვა-თქმებში; როგორი სახითაა შემორჩენილი ისინი; შეიმჩნევა თუ არა მათზე სალიტერატურო ენის გავლენა.

მეთოდები. კვლევისთვის გამოყენებულია აღწერითი, შედარებითი, ლექსიკონებზე დაფუძნებული დაკვირვების, სინთეზისა და ანალიზის მეთოდები.

შედეგები. თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ (1979) აღძრავს ინტერესს, კვლევის მიმართულებით გაგრძელდეს შესწავლა და დაკვირვება, თუ როგორ არის შემორჩენილი ზოგადად ქართულსა და ქართული ენის სამხრულ დიალექტებში უძველესი გამოთქმები.

მსჯელობა. კვლევისთვის ემპირიულ მასალად გამოვიყენეთ „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ (სახოკია, 1979). ლექსიკონში 7000-ზე მეტი ერთეულია შესული. ავტორის თქმით, აქ განმარტებულია სიტყვა-თქმების მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობა, პირდაპირი მნიშვნელობის განმარტება კი გამოტოვებულია.

ლექსიკონის ზოგი თქმა თუ ფრაზეოლოგიზმი უნივერსალურია, ზოგი მსგავსი სემანტიკისაა ან კონცეპტია შეცვლილი. ზოგი კონცეპტი უძველეს ნასესხობას მიეკუთვნება.

კონცეპტებიდან საკმაოდ მრავლად დასტურდება: **აღა, დავთარი, დუნია, ალალი, ყურბანი, მილეთი, დოვლათი, დუშმანი, ფლაგი, ინი, ბოღაზი, ყასაბი...**

აღმოსავლური კონცეპტებით შექმნილი სიტყვა-თქმანი მეტნაკლებად დასტურდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, მაგრამ განსაკუთრებით ჭარბობს იგი აჭარისა და კახეთის მოსახლეობის მეტყველებაში, რაც ისტორიული ფაქტებითაა განპირობებული. სიტყვა-თქმებში ჩანს ადამიანების ხასიათი, გონებამახვილობა, შესაძლებლობანი, სტუმარმასპინძლობის წესი, რწმენა-შეხედულებები და სხვა.

მოხსენებაში ხატოვან სიტყვა-თქმებს გავაანალიზებთ თემატური ჯგუფების მიხედვით. სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

დალოცვა-დაფიცება:

აღას შნო მოგცეს= მოგცეს მიხვედრილობა, სიმარჯვე, გამარჯვება: „ღმერთმა აღას შნო მოგცეს, ყაირათი და ჭკუა“. **აღა** (თურქ.-სპარ. Ağa)- ბატონი, მეპატრონე, დამქირავებელი. ფრაზის შინაარსი ასეთია: „ბატონისთანა სრული გაგხადოს, ბატონს დაგამსგავსოს“ (სახოკია, 1979: 35); შდრ. **აღა** (აღასი) ძვ. ბარბარ. (თურქ.-სპარ.) ბატონი, მეპატრონე, დამქირავებელი (იხმარებოდა უპირატესად ვაჭართა წრეებში, მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოში). ჩემი აღა კარგა ხანი იყო კახეთში და თან ვახლდი (ილია) (ქეგლ).

ვაი შენს მტერს და დუშმანს = კარგად გამყოფოს, უბედურება აგცდეს. ამ გამოთქმაში ერთმანეთის გვერდით დასტურდება ქართულ-სპარსული კონცეპტები-**მტერი** – **დუშმანი** (სპარ. duşman). სახოკიას განმარტებით, „ამას ეტყვის დედა შვილს, როცა ბავშვი რამეზე იტყვის: „ვაი“. ე.ი. ვაიშ შენ აგცდეს და შენს მტერს და დუშმანს ხვდესო (სახოკია, 1979: 195);

ჰალას-ბიჰლას ფიცავენ=ღმერთს ფიცავენ (არაბ. Hallak-შემოქმედი, შემქმნელი, მაღალი (ღმერთის ეპითეტი): „ეს ყველა თვალხილულისთვის მზესავით ნათელია, თუმცა ჩვენი სამსონები **ჰალას-ბიჰლას ფიცავენ** და უნდათ ყველა დააჯერონ, რომ ჩვენს მეტი არავინ არისო“. **ჰალას-ბიჰლა** არაბული სიტყვებია, ღმერთის დაფიცების ფორმულაა. ქართველები ძველად ფიცებში ამ სიტყვებს ხმარობდნენ ხოლმე (სახოკია, 1979: 960).

პატიოსნება:

ალალი ოფლით ლუკმის ჭამა -პატიოსანი შრომით ცხოვრება, დაუყვედრებელი არსებობა. ალალი (არაბ. Helal) -კანონიერი: „შენ თავს იმით იწონებ, რომ ალალის ოფლით ლუკმასა სჭამ?“ სიტყვა **ალალს** ხშირად ხმარობენ ჭამის დროს. თუ ლუკმა გადაუცდა სასულეში ბავშვს ან დიდს და დაახველა, დამსწრეები ეტყვიან: ალალი! ე.ი. შეგერგოს ლუკმა, პატიოსნად გაქვს მოპოვებულიო. (სახოკია, 1979: 16); შდრ: **ჰელალი-ალალი**, სამართლიანად მოპოვებული: „მუდამ ჰელალ რომ არ ემეფ, შენ რატომ არ გეშინია“ (ფუტკარაძე, 1993: 691).

გულუხვობა, ხელგაშლილობა, უზრუნველად ცხოვრება:

სიფთა შენი = ბარაქა ღვთისაო, კარგი ხელი გაქვს, გულუხვი ხარ.

სიფთა (არაბ. Siftah)-თავდაპირველად, დასაწყისში, პირველად.

ისტორიულად საქართველოში გავრცელებული იყო ვაჭრობა, რომელსაც ხან მოგება მოჰქონდა, ხანაც – ზარალი. სიტყვა **სიფთა** გამოიყენებოდა, და დღესაც გამოიყენება, ვაჭრობაში, აღებ-მიცემაში: „როცა ვაჭარი დილით საქონელს გაჰყიდის და მუშტარი პირველად მისცემს საქონლის ფასს, ამას სიფთა ჰქვია“ (სახოკია, 1979: 585); შდრ: **სიფთა** - თავდაპირველად, დასაწყისში, პირველად: **სიფთა** ხელზე იაფათ მომცა“ (ფუტკარაძე, 1993: 567).

ბაშ, უსტა - ბატონი ბრძანდები, თქვენი ბრძანების ამსრულებელი გახლავართ!

(თურქ. baş- თავი, üst-ზედ/ზედა, ე.ი. რაც თავს ზემოდანა ხართ, ჩემი მბრძანებელი ხართო.

ფლავივით არიგებს- უხვად, ხელგაშლით არიგებს, ადვილად იმეტებს ყველასთვის ყველაფერს. **ფლავი** (სპარს. Pilav);

„ფლავი საყვარელი საჭმელია საქართველოში, ქელებსა თუ ქორწილში ის აუცილებლად უნდა ჰქონდეთ და ბლომდაც არავის რჩება, რომ ფლავი სამდომად არ დაურიგონ (შდრ: „აჭარაში გავრცელებული გამოთქმები: **ბაირამის ჰალვასავით არიგებს//ყურბნის ხორცივით არიგებს/ანაწილებს**) (ცეცხლაძე, 2018: 182-183).

ყაბლუ ფლავს აჭმევს- მეტისმეტად უვლის, ფუფუნებაში, აზიზად ინახავს, მდიდრულად აცხოვრებს: „კნიაზის მზემ (= ბატონო, ალა), ასე შეგინახამ, სულ **ყაბლუ ფლავს გაჭმევ**“. **ყაბლუ ფლავი** საუკეთესო ფლავად ითვლება. **ყაბლუ** პროვინცია უნდა იყოს სპარსეთის, სადაც თავის ღირსებით განთქმული ბრინჯი მოდის და იმ ბრინჯისგან დამზადებულ ფლავს – ყაბლუ ფლავს ეძახიან (სახოკია);

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კონცეპტი **ფლავი** ქართულ ხატოვან თქმებში შეცვლილია სიტყვებით: **ჰალვა/ხორცი**. კონცეპტი **ფლავი** ერთი მხრივ გულუხვობას, უხვად გაცემას უკავშირდება, მეორე მხრივ კი, ფუფუნების, მზრუნველობის სემანტიკას გამოხატავს.

ფლავი თ. სახოკიას თქმებში უარყოფითი კონოტაციითაც გვხვდება და სისულელის, მიუხედავად სემანტიკას გამოხატავს: **რის ფლავი, რის ბოზბაში** = რა სისულელეს ამბობ: „მე რას გელაპარაკები და შენ რაღას ამბობ? საიდან სადაო?“ (სახოკია, 1979: 530);

სიმდიდრე, დროსტარება:

დოვლათზე ზის= შეძლებულია, მდიდარია, არაფერი აკლია. **დოვლათი** (არაბ. Duflat, თურქ. Dovlat)- გამარჯვება, ბატონობა, სიმდიდრე, ძლიერება. **დოვლათზე ზის** - შეძლებულია, მდიდარია, არაფერი აკლია: „გასტეხს სოკოს, დაიწუნებს, მაინც იყიდის, ისეც დოვლათზე ზის“ (სახოკია, 1979: 158). შდრ: **დოვლათ-ი** (**დოვლათისა**) 1. ქონება,

სიმდიდრე; სიუხვე, ბარაქა, სიკეთე. აივსო ოჯახი დოვლათითა და ქონებით (მიხ. მრევლ.); როცა დოვლათი დატრიალდება, ბავშვებიც კარგები გაიზრდებიან (გ. ციც.). 2. ეკონ. ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი საშუალება: საზრდო, სამოსი, ბინა, სათბობი, წარმოების საშუალებანი. მატერიალური დოვლათი (ქეგლ).

ქართულ კულტურაში, ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ლექსიკურ ერთეულს – **სუფრას**. იგი უკავშირდება ლხენას, გართობას, კეთილდღეობას, პატივისცემას და ასევე უკავშირდება უმადურობას, უპატივცემულობას, საქმის ცუდად წასვლას. ჩვენს საანალიზო მასალებში ეს კარგად ჩანს:

სუფრის გაშლა = სუფრაზე მოტანა ყველაფრისა, რაც საჭიროა ჭამა-სმისთვის, ქეიფი; სუფრა (არაბ. Sofra_ -1. სასადილო მაგიდა; 2. პურმარილი).

სუფრის გაახლება – ახალი სანოვანის დაწყება სუფრაზე, ნადიმის გაგრძელება.

სუფრის ამატება – ალაგება სუფრისა: „გაათავეს ნადიმობა, ყველამ სუფრა აიმეტეს“.

სუფრა კოჭლობს – საქმე ცუდად მიდის, სუსტად კეთდება – იტყვიან, როცა სუფრაზე მარილი არ არის.

სუფრა ქვეყნისა – ცხოვრება, კეთილდღეობა.

სუფრისა ბოლოს გდებული = უპატივცემულოდ, უყურადღებოდ დატოვებული, აგდებული (სახოკია, 1979: 604);

სხვადასხვა სემანტიკა:

დავთარში არ უწერია = ჩვეულებად არა აქვს, საჭიროდ არ მიაჩნია. **დავთარ** – ი (არაბ. თურქ. defter) – რვეული. შდრ: **დავთარ** – ი (დავთარისა) დიდი ზომის რვეული, ჟურნალი, წიგნი შემოსავალ-გასავლისა თუ სხვა ხასიათის ანგარიშის შესატანად ან სხვა საჭირო ცნობების ჩასაწერად. თურქული defter = რვეული: დათვალა [ფული], დაალაგა, ჩანიშნა დავთარში (ვ. ბარნ.)“ (ქეგლ).

დავთარის განსხვავებული მნიშვნელობებია დადასტურებული ეთერ მამულისა თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში. იგი, ერთი მხრივ, მუშაობას, საქმეს უკავშირდება, მეორე მხრივ, სიკვდილის ფრაზეოლოგიზმია. შდრ: **defteri kapadi** – **დავთარი დახურა** = მუშაობა (ზრუნვა, ფიქრი, საქმე...) შეწყვიტა; **მისი დავთარი დაიგრაგნა** – დრო მოჭამა, დროული სიკვდილი ეწვია.

დუნია, დუნია ხალხი = ბევრი, უთვალავი, თვალუწვდენელი სივრცე თუ ხალხი; **დუნია** (არაბ. Gunya; თურქ. Dünya): „აქედან დავინახე დუნია ხალხი, გეგონებოდა, ჯარიო“. ძვ. საუბ. 1. ქვეყანა, ქვეყნიერება... დუნიას დავივლი. იგივე მნიშვნელობა აქვს **დუნიას** ჩვენებურთა მეტყველებაშიც. შდრ: **დუნია მემლეკეთი** (თურქ. Memleket – ქვეყანა, მთელი ქვეყანა) (ფუტკარაძე, 1993: 440).

აღმოსავლური კონცეპტები თქმებში გამოხატავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით კონოტაციებს:

ტანჯვა-წვალება

სიქა გააცალა = საშინლად გვემა, მძიმე ტვირთისაგან წელში გაწყვიტა: „იმდენი სცემა თავის მეზობელს, რომ სულ სიქა გააცილა“. განსხვავებული სემანტიკა აქვს **სიქას** არაბულში (არაბ. Sik'a) = ფული, მონეტა, რომელსაც არტყამდნენ ბეჭედს და აღნიშნავს მის ღირებულებას. ამ ბეჭდის გარეშე ფული ყალბად ითვლება“ (სახოკია, 1979: 585);

ქართულში გამოთქმამ **სიქა გააცალა** შეიძინა დამქანცველი, გაუსაძლისი შრომის მნიშვნელობა. ეს გამოთქმა იხმარებოდა მე-19 საუკუნის საქართველოში, დღეს ნაკლებად გამოიყენება, შემონახულია უფროსი თაობის ცოცხალ მეტყველებაში.

სიხარბე:

უზურში მაქვს = ქონება, დაპატრონება, განზრახვა: ჰუზური (არაბ. Usul) - ყოფნა, ქონა, ხელში ჩაგდება რისამე: „რას აპირებთ, უზურში რა გაქვთ?“ შდრ: **უზური**-ნათქვამი, ნანდომი, ნასურვილვე: „ღმერთ გამჩენელის უზურზე მივალთ (ფუტკარაძე, 1993: 578).

სიზარმაცე-მოუცლელობა:

ფეხზე ინის დადება - მოუცლელობა, სიარულისთვის თავის არიდება, გაუნძრევლობა. **ინა** (არაბ. **Henā**)-საღებავი მცენარე, ძველ ოსმალეთში გამოიყენებოდა როგორც კოსმეტიკური საშუალება. მას თავზე იდებდნენ და დიდხანს იჩერებდნენ.

ინით იღებავდნენ ძველად ფეხის თითების ფრჩხილებსა. ვინც ინას დაიდებდა ფეხზე, მეორე დღემდე გარეთ არ უნდა გასულიყო (სახოკია). **ინა** (ინისა) (არაბ. ჰენა) 1. [Lawsonia inermis] 2. ამ მცენარის ფოთლებისგან დამზადებული საღებავი, რომელსაც აღმოსავლეთში ხმარობენ თმის, ფრჩხილებისა და სხვ. შესაღებად. ულვაშებიც შეუღებავს ინითა (რ. ერისთ.) [მეფეს] ინა წითელტანიანი ბოსტნის მცენარეა, ხმარობენ თმის შესაღებად, მისი ღერო და ფოთლები დანაყილი და თმაზე დადებული თმას ღებავს ოქროს-ფრად («დიალ.») (ქეგლ).

„თურქულში ცნობილი ფრაზეოლოგიზმია **Başına kına yaktı** და ნიშნავს **თავზე/ხელზე ინის დადებას**. გარდა იმისა, რომ თურქულსა და ქართულში განსხვავებულია სომები (ქართ.-**ფეხი**, თურქ.-**თავი/ხელი**), გამოთქმის მნიშვნელობაც სხვადასხვაგვარია. ქართულში **ფეხზე ინის დადება** (სახოკია) და თურქულში **თავზე/ხელზე ინის დადება** (მამულია) სტრუქტურული ვარიანტებია და მნიშვნელობაც განსხვავებულია“ (კიკვაძე & ხახუტაიშვილი, 2015).

დასკვნა. მოყვანილი მაგალითები მცირე ნაწილია იმ თქმებისა, რომლებშიც სიტყვა-კონცეპტებად აღმოსავლური ლექსიკა დასტურდება. ბევრი მათგანი უძველესია და საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას, ქართველთა ყოფას უკავშირდება.

ემპირიული მასალის შედარებამ აჩვენა, რომ აღმოსავლური კონცეპტებით შედგენილი ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი მეტწილად კახეთისა და აჭარის რეგიონებშია დადასტურებული, ასევე გვხვდება ისინი ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაშიც. გამოთქმებში იშვიათად იცვლება კონცეპტები, მაგრამ შეცვლილია სემანტიკა.

ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი კარგი მასალაა ენის ისტორიის, სიტყვათა სესხების პირობების შესასწავლად. დღეს ეს გამოთქმები მცირე რაოდენობით მხოლოდ დიალექტებშია შემონახული, ისიც უფროსი თაობის მეტყველებაში.

ზოგადად, სალიტერატურო ენის გავლენა დიალექტებზე მიმდინარე შეუქცევადი პროცესია და ამ პროცესის შედეგია ისიც, რომ ძველი ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი ნელ-ნელა დავიწყებას ექვემდებარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- მამულია, ე. (2006). *თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, Türkçe-Gürcüce Deyimler Sözlüğü*. თბილისი.
- კიკვაძე, მ., & ხახუტაიშვილი, მ. (2015). ფრაზეოლოგიზმების თურქულად თარგმნის პრობლემები. *საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები*. თურქეთი: ნევშეჰირი.
- სახოკია, თ. (1979). *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბილისი.
- ფუტყარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული*. ბათუმი.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, <https://www.ena.ge/explanatory-online>
- ცეცხლაძე, ნ. (2018). *ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები*. თბილისი.

REFERENCES

- mamulia, e. (2006). *turkul-kartuli prazeologiuri leksik'oni, Türkçe-Gürcüce Deyimler Sözlüğü* [*Turkish-Georgian Phraseological Dictionary*]. Tbilisi.
- k'ik'vadze, m., & khakhut'aishvili, m. (2015). prazeologizmebis turkulad targmnis p'roblemebi [*Problems of translating phraseologisms into Turkish*]. *Universe Culture 2015 International Journalist Journals (journal of folklore science-music-literature-Turkishness, tology) for three months*. Page 20-25. Turkey.
- sakhok'ia, t. (1979). *kartuli khat'ovani sit'qva-tkmani* [*Georgian Figurative Expressions*]. Tbilisi.
- put'k'aradze, sh. (1993). *chveneburebis kartuli* [*The Georgian Language of "Chveneburebi" in Turkey*]. Batumi.
- kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni* [*Explanatory Dictionary of the Georgian Language*], <https://www.ena.ge/explanatory-online>
- tsetskhladze, n. (2018). *prazeologizmta k'vlevis asp'ekt'ebi* [*Aspects of Phraseological Research*]. Tbilisi.